ჩემპიონატი

http://football.mojgorod.ru/cgi-bin/rus/result.cgi?f=v1938&cl=8
დაამატა **ერლან მანაშევმა**

“სპარტაკი" (ლენინგრადი) - "დინამო" (თბილისი) - 1:0 (1:0)
30 ოქტომბერი. ლენინგრადი. ლენინის სახ. სტადიონი. 6 000 მაყურებელი.
მსაჯი მ. სელცოვი (მოსკოვი).
გოლი: 1-0 იარცევი (74).

“სპარტაკი": ხიტროვი, ივანოვი, ტელეგინი, სტროკოვი, გორბაჩოვი, ბუდნევი, ბიზიუკოვი, მურაშოვი, შელაგინი, იარცევი, კუსკოვი.

"დინამო": ტყებუჩავა, შავგულიძე, ნიკოლაიშვილი, ჯორბენაძე, მინაევი, კიკნაძე, ჯეჯელავა, ბერძენიშვილი, პაიჭაძე, ბერეჟნოი, სომოვი.

თბილისის “დინამომ” წააგო მატჩი

(ლენინგრადი, ტელეგრაფით ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან).

4 ოქტომბერს, ლენინგრადში ჩატარდა საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშების მორიგი კალენდარული შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობდნენ – თბილისის “დინამო” და ლენინგრადის “სპარტაკის” გუნდები.

შეჯიბრების პირველი ნახევარი, მიუხედავად თბილისელთა აშკარა უპირატესობისა (“დასახლდნენ” მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე) დამთავრდა უშედეგოდ – 0:0.

მეორე ტაიმი დაიწყო შედარებით მოდუნებულად. დინამოელები კვლავ ვერ იყენებდნენ ბურთის გატანის უდაო შესაძლებლობებს. თამაშის დამთავრებამდე 15 წუთით ადრე არათავისუფალი საჯარიმო გარტყმით “დინამოს” კარის ბადეში ეხვევა პირველი ბურთი. უკანასკნელ წუთებში პაიჭაძე გადის გარღვევაზე, მაგრამ მსაჯი სელცოვი (მოსკოვი) 2 წუთით ადრე ამთავრებს ტაიმს. შეჯიბრების შედეგია 1:0 სპარტაკის სასარგებლოდ. მატჩი გასაჩივრებულია.

“მუშა”, 5 ოქტომბერი, 1938 წ.